სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 269

ქ. თბილისი 18 ივნისი 2014 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სს „სილქნეტს“ (მდებარე, ქ.თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.№95 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 1 სტატიკური IP მისამართის გამოყოფას „შემსყიდველის“ შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი ყვარლის ქ.№160 (კლასიფიკატორის კოდი 72400000), „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 85 (ოთხმოცდახუთი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ IP მისამართის გამოყოფისა და 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მომსახურების გაწევის საფასურს;

2.3 ხელშეკრულების ფასი მოიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯებს დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

მუხლი 3. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, მომსახურების მიწოდება განახორციელოს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად ქ. თბილისი ყვარლის ქ.№160;

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია IP მისამართის გამოყოფა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ყვარლის ქ.№160;

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

3.4 „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევის შემდეგ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტი - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

3.5 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

4.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. გარანტია

5.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის

შესახებ რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე თუ მომსახურების უხარისხობის არსებობა დასაბუთდება და თუ უხარისხობა სადემარკაციო წერტილიდან „მიმწოდებლის“ მხარესაა.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დასაბუთებული ნაკლის აღმოფხვრა.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ბიუჯეტის დაგეგმვის, კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი – ბ. გოგაძე;

2) ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის II სამმართველოს VI განყოფილების უფროსი - ვ. ბედიაშვილი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადის დაცვით.

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.2.1 „შემსყიდველს“ გაუწიოს ხარისხიანი „მომსახურება“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.3.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.3.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

7.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.4.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4.2 წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“ დაზიანების შესახებ;

7.4.3 უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი სამუშაოების შესრულებაში;

7.4.4 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წინასაწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „მიმწოდებელი“ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ „შემსყიდველი“ არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, კერძოდ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანგარიშსწორების ვადაში არ იხდის გაწეული მომსახურების ღირებულებას ან აღნიშნულ ვადაში არასრულად იხდის გაწეული მომსახურების ღირებულებას ან „შემსყიდველისთვის“ დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალების დაზიანების/დაკარგვის/განადგურების შემთხვევაში.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება;

11.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის (ბრალეული ქმედებით) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

11.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები;

11.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.6 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით;

14.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი-„შემსყიდველს", მეორე-„მიმწოდებელს"), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	სს „სილქნეტი"
ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 ჭოროხის ქ.№6	ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.№95
სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001 ა/ა №GE24NB0330100200165022 კოდი TRESGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 203840344	სს „საქართველოს ბანკი" ა/ა №GE41BG0000000878415000 კოდი BAGAGE22 საიდენტიფიკაციო კოდი - 204566978
„შემსყიდველის" სახელით:	„მიმწოდებლის" სახელით:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე	სს „სილქნეტი"-ს კომერციული დირექტორი
ჯაბა ვეკუა	ნუგზარ ჩინჩალაძე